გარდა მაღაზიათა ქსელისა და ჯეოსელის მომსახურების ოფისებში ჩვენი საქონლის წარმოდგენისა, ტექნო ბუმი ახორციელებს საბითუმო გაყიდვებს დილერების მეშვეობით,რომლებიც წარმოდგენილი არიან საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

- ✓ **ჰუნდაის ექსკლუზიური პარტნიორი ამიერკავკასიაში.**

ტექნო ბუმი-ს ერთერთი ბოლო მნიშვნელოვანი მიღწევა იყო კორეული ბრენდი ჰუნდაი-სთან გაფორმებული შეთანხმება, რომელის მიხედვითაც ტექნო-ბუმი წარმოადგენს საყოფაცხოვრებო ტექნიკის ექსკლუზიურ დისტრიბუტორს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ბაზარზე.

შპს „ტექნო ბუმი“ ს/კ 205286199

9. კომპანიის მენეჯმენტი და მისი გამოცდილება - ტექნო ბუმის მენეჯმენტს წარმოადგენს იმ ადამიანთა გუნდი, რომელსაც აქვს 20 წელზე მეტი გამოცდილება ამ სფეროში და რომლებმაც შეძლეს საქართველოში ყველაზე დიდი სავაჭრო ქსელის შექმნა და განვითარება. ამ მენეჯმენტმა შექმნა ქსელი რომელიც მოიცავდა 60 მაღაზიას და 2000 ადამიანზე მეტ დასაქმებულს. ეს კომპანია არის ელიტ ელექტრონიქსი, რომელიც ამ მენეჯმენტის მართვის პერიოდში (1996-2010 წწ) ყოველთვის გამორჩეულად ლიდერის პოზიციაზე იყო.

4 ბიზნეს გარემოსა და რისკების მიმოხილვა:

1. მსოფლიო ეკონომიკაში არსებული კრიზისები, სხვადასხვა გარეშე და შიდა ფაქტორების შედეგად უცხოური ვალუტის მიმართ ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობა გააღებინა ახდენს იმპორტირებული პროდუქციის ფასებზე და მოწოდების პირობებზე, რაც უშუალოდ აისახება საწარმოს საქმიანობაზეც. ამასთან, საქართველოს შიდა ბაზარი არასტაბილურია და რეალურად არ გააჩნია მარეგულირებელი ინფრასტრუქტურა.
2. უფრო კონკრეტულად თუ ავხსნით პრობლემა არის შემდეგში- ლარის გაუფასურების შემდეგ იზრდება საქონლის გასაყიდი ფასი, გაზრდილი ფასი კი ზღუდავს ხელმისაწვდომობას. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ გარდა ტექნიკაზე გაზრდილი ფასისა ჩვენს პოტენციურ მომხმარებელს უმეირდება სხვა საქონლის და მომსახურების შეძენა , რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენი მომხმარებლების უმეტეს ნაწილს გააჩნია სასესხო ვალდებულებები, რომლის ძირითადი ნაწილი აღებული აქვთ დოლარში, ხოლო შემოსავლები აქვთ ლარში,შესაბამისად მნიშვნელოვნად ეზრდებათ სესხზე გადასახდელი თანხები ლარში, რაც თავის მხრივ იწვევს თავისუფალი ფულის შემცირებას, რომლითაც მომხმარებელს შეეძლო საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენა.
3. საწარმოს საქმიანობის არეალი მოიცავს საქართველოს თითქმის ყველა რეგიონს. ამასთან, საწარმოს საქმიანობის ყველა სფეროში მძაფრია კონკურენცია, რასაც საწარმო მეტნაკლებად უმკლავდება მარკენტიგული აქტივობისა და ბაზარზე კონკურენტუნარიანი და მაღალი ხარისხის ფართო ასორტიმენტის საქონლის მიწოდების ხარჯზე.
4. ზემოთ აღნიშნული მიზეზების შედეგად მაღალია მარკენტიგული რისკები, რომელთა თავიდან აცილების მიზნით საწარმო მარკენტიგის, ეკონომიკური და ანალიზის სამსახურები სისტემატურად ანალიზებენ ქვეყნის ბაზარზე არსებულ მდგომარეობას, მუშავდება რეკომენდაციები საწარმოს საქმიანობის ცალკეული სფეროს ნაწილობრივ შეზღუდვის ან გაფართოების, საქმიანობის შეჩერების ან ახალი მიმართულებების დანერგვის შესახებ.
5. საწარმოს მიაჩნია, რომ ბიზნესის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია სწორად განსაზღვროს ბაზარზე თავისი ადგილი „ნიშა“, რომელიც ნაკლებად „ოკუპირებულია“ ან არასაკმარისადაა გამოყენებული კონკურენტების მიერ.
6. საწარმომ საქართველოს ბაზარზე გააფართოვა ექსკლუზიური მიწოდება. ასევე ხორციელდება სხვა ღონისძიებები ეკონომიკური რისკების თავიდან აცილების მიზნით.
7. მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში, საწარმო გეგმავს მსოფლიო ბაზარზე არსებული მდგომარეობის ღრმად შესწავლას, მოთხოვნადი და თანამედროვე პროდუქციის მოძიების მიზნით და მათი საქართველოს ბაზარზე შემოტანის შესაძლებლობის მოკვლევას;

შპს „ტექნო ბუმი“ ს/კ 205286199

8. **სოციალური პასუხისმგებლობა** - ტექნო ბუმი, გარდა იმისა რომ პირდაპირ დასაქმებული ჰყავს 300 ადამიანამდე , არის მსხვილი გამდამხდელი და ყოველწლიურად ბიუჯეტში გადახდილი გადასახადები საკმაოდ სოლიდურია. კომპანია ყოველთვის ღებულობდა მონაწილეობას სხვადასხვა სოციალურ და საგანმანათლებლო პროექტებში, ასევე მათ დაფინანსებაში. კომპანიის ძირითადი პრიორიტეტია ახალგაზდებზე ზრუნვა და მათი განათლების თუ ჯანსაღი ცხოვრების წესის წახალისება.
9. **კომპანიის სამომავლო გეგმები** - შპს ტექნო ბუმი , მომდევნო ერთი წელი, არ გეგმავს ქსელის გაფართოებას საკუთარი მაღაზიების გახსნის ხარჯზე, კომპანია გეგმავს გააფართოვოს ფრანჩაიზ მაღაზიათა რაოდენობა. კომპანიის სტრატეგიული ამოცანაა კიდევ უფრო გაზარდოს მომხმარებელთა მომსახურების ხარისხი. ამ მიმართულებით დაგეგმილია მაღაზიის თანამშრომელთა სხვადასხვა ტიპის ტრენინგები კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.
10. ტექნო ბუმისთვის ყოველთვის პრიორიტეტი იყო და ამ პერიოდშიც აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა, რათა კიდევ უფრო გავაფართოოთ ჩვენს ქსელში წარმოდგენილი საქონლის ასორტიმენტი, როგორც ახალი ბრენდების შემატებით, ასევე ჩვენს ქსელში არსებული ბრენდების სხვადასხვა კატეგორიის საქონლის გამრავალფეროვნებით.
11. 2015-2017 წლების კურსის ცვალებადობამ მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია კომპანიაში და ამ წლებში კომპანიის მიერ დაფიქსირებული ზარალის უდიდესი წილი მოდის საკურსო სხვაობით გამოწვეულ ზარალზე.
12. ამ სეგმენტისთვის ასევე მნიშვნელოვან რისკს წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან შემოღებული სხვადასხვა რეგულაციები ფიზიკური პირის დაკრედიტებისას. ტექნიკის სექტორში რეალიზაციებში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს საქონლის კრედიტით შეძენას, ე.წ. „განვადება“ს . საცალო გაყიდვების 50-60% არის განვადებით რეალიზაცია. 2018 წელს მიღებულმა რეგულაციებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა განვადებებით რეალიზაციაზე, რაც რათქმაუნდა უარყოფითად ისახება კომპანიის შედეგებზე. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ განიხილება დამატებითი შეზღუდვების შემოღება ფიზიკური პირების დაკრედიტების კუთხით, რაც კიდევ უფრო მეტ უარყოფით ზეგავლენას მოახდენს ამ სეგმენტში მოღვაწე კომპანიებზე , მათ შორის ტექნო ბუმზეც.

6. ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების სრულყოფა, შიდა კონტროლის პროცედურები:

1. საწარმო ბუღალტრულ აღრიცხვა-ანგარიშგებას ბუღალტერიის მეშვეობით ახორციელებს სპეციალური კომპიუტერული პროგრამა „Microsoft dynamics NAVISION“ რომელიც დაწერილია უშუალოდ კომპანიის პროგრამისტების მიერ;
2. საწარმო დაარსებიდან 2014 წლის ჩათვლით აუდიტირებული ხოლო 2015 წლიდან არ თანამშრომლობს აუდიტორულ და მარწმუნებელ მომსახურებაზე;
3. მომდევნო საანგარიშო პერიოდში იგეგმება საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის სრულყოფა;

7. საწარმოს ურთიერთობა არარეზიდენტ კომპანიებთან

1. საწარმოს კომერციული პარტნიორები და საქონლის ძირითადი მომწოდებლები არიან არაბთა გაერთიანებული სამეფო, თურქეთის რესპუბლიკა, ჩინეთი და სხვა კომპანიების მოკლე ჩამონათვალი:

Hyundai C&F (AB1 Team); Vahedna Trading Co. L.L.C.55; Group Seb Istanbul Ev Aletleri; Vestel; LG Electronics (Shenyang) INC; SIA PROKS; ISMAIL MUSABBAH TRDG CO LLC; ADCON COMPUTERS LLC; WHIRLPOOL EUROPE S.R.L.; SHIMONE GROUP LTD; BRITEKS DisTicaret,Insaat Ltd; ZHENJIANENTIVISMARTKITCHEN; GURJAR INTERNATIONAL FZCO და სხვა კომპანიები.

2. საწარმოს შესყიდული, დაპანტეხებული აქვს სასაქონლო ნიშნები:

„TECHNO BOOM“; „DIGITAL BOOM“; „Prime; Present“; „Vagner; Flax“; „Ravanello“; „ Prozenta“; „Risser“; „Rinox“; „Wiesner“; „Worldline“;

3. საწარმოს შესყიდული აქვს ლიცენზიები;

- ✓ ABI-LA161216-JW01 გაცემულია 2016 წლის 16 დეკემბერს.
- ✓ ABI-LA161216-HK01 გაცემულია 2016 წლის 16 დეკემბერს.
- ✓ ABI-LA161216-WC01 გაცემულია 2016 წლის 16 დეკემბერს.
- ✓ ABI-LA161216-KH01 გაცემულია 2016 წლის 16 დეკემბერს.

4. საწარმოს 2016 წლის 23 ივნის გენერალური ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ჯეი ენდ თი ქონსალთინგთან. იურიდიულ მომსახურებაზე.

8. შრომის დაცვისა და უსაფრთხოების მდგომარეობა:

- 1 დისტრიბუტორები უზრუნველყოფილი არიან სეზონის შესაბამისი სპეცტანსაცმლით;
- 2 შექმნილია ნორმალური სამუშაო გარემო არამარტო საწარმო პერსონალის, არამედ ინჟინერ-ტექნიკური და ეკონომიკური პერსონალისთვისაც.

9. მონაწილეობა სოციალური პროექტებში:

- 1 კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს დასაქმების პროგრამას. კერძოდ, საწარმოში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა საანგარიშგებო პერიოდში 250 შეადგენდა.

წინამდებარე მმართველობითი ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2018 წლის 30 სექტემბერს

შპს-ის „ტექნო ბუმი“

დირექტორი

/ეთერ ქოქოლაძე/

შპს „ტექნო ბუმი“ ს/კ 205286199

7. საწარმოს ურთიერთობა არარეზიდენტ კომპანიებთან

1. საწარმოს კომერციული პარტნიორები და საქონლის ძირითადი მომწოდებლები არიან არაბთა გაერთიანებული საამირო, თურქეთის რესპუბლიკა, ჩინეთი და სხვა კომპანიების მოკლე ჩამონათვალი:

Hyundai C&F (AB1 Team); Vahedna Trading Co. L.L.C.55; Group Seb Istanbul Ev Aletleri; Vestel; LG Electronics (Shenyang) INC; SIA PROKS; ISMAIL MUSABBAH TRDG CO LLC; ADCON COMPUTERS LLC; WHIRLPOOL EUROPE S.R.L.; SHIMONE GROUP LTD; BRITEKS DisTicaret,Insaat Ltd; ZHENJIANENTIVSMARTKITCHEN; GURJAR INTERNATIONAL FZCO და სხვა კომპანიები.

2. საწარმოს შესყიდვული, დამანტენებელი აქვს სასაქონლო ნიშნები:

„TECHNO BOOM“; „DIGITAL BOOM“; „Prime; Present“; „Vagner; Flax“; „Ravanello“; „Prozenta“; „Risser“; „Rinox“; „Wiesner“; „Worldline“;

3. საწარმოს შესყიდვული აქვს ლიცენზიები:

- ✓ ABI-LA161216-JW01 გაცემულია 2016 წლის 16 დეკემბერს.
- ✓ ABI-LA161216-HK01 გაცემულია 2016 წლის 16 დეკემბერს.
- ✓ ABI-LA161216-WC01 გაცემულია 2016 წლის 16 დეკემბერს.
- ✓ ABI-LA161216-KH01 გაცემულია 2016 წლის 16 დეკემბერს.

4. საწარმოს 2016 წლის 23 ივნისს გენერალური ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ჯეი ენდ თი კონსალტინგთან. იურიდიულ მომსახურებაზე.

8. შრომის დაცვისა და უსაფრთხოების მდგომარეობა:

- 1 დისტრიბუტორები უზრუნველყოფილი არიან სეზონის შესაბამისი სპეცტანსაცმლით;
- 2 შექმნილია ხორმალური სამუშაო გარემო არამარტო საწარმოს პერსონალის, არამედ ინჟინერ-ტექნიკური და ეკონომიკური პერსონალისთვისაც.

9. მონაწილეობა სოციალური პროექტებში:

- 1 კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს დასაქმების პროგრამას. კერძოდ, საწარმოში დასაქმებულია საშუალო წლიური რაოდენობა სახანძარიშგებო პერიოდში 250 შვიდგენდა.

წინამდებარე მმართველობითი ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2018 წლის 30 სექტემბერს

შპს-ის „ტექნო ბუმი“

დირექტორი

 (ეთერ ქოქოლაძე)

შპს „ელკო აუდიტი“ საიდენტიფიკაციო - 402092285; დიდუბის რაიონი, დიდუბის მასივი, კვარტალი IV, კორპუსი 26, ბინა N7; ტელეფონი: 599 791-795; email: elkoauditi@gmail.com;

განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ზოგადი ინფორმაცია

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ:

1. შპს „ტექნო ბუმი“ დაფუძნებულია 2009 წლის აგვისტოში, საწარმოს 100 %-იანი წილის დამფუძნებელია ემზარ ქოქოლაძე (პ/ნ №61006008930)
2. საწარმოს ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;
3. საწარმოს იურიდიული მისამართია: ვაჟა-ფშაველას გამზირი 30ა, თბილისი, საქართველო. საწარმოს სათაო ოფისი მდებარეობს ადავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ;
4. შპს „ტექნო ბუმის“-ის ძირითადი საქმიანობაა: საოჯახო საყოფაცხოვრებო ტექნიკის იმპორტი რეალიზაცია, და რაც საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული არ არის.
5. საწარმო წარმოადგენს მეორე კატეგორიის (საშუალო) საწარმოს. მას არ გააჩნია საჯარო ანგარიშგაღებულება;
6. საწარმოს გააჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმოები;
 - ✓ შპს აღმაშენებელი დეველოპმენტ რომელიც დარეგისტრირდა 2017 წლის 13 თებერვალს, კომპანიას დაარსების დღიდან დრემდე არანაირი ეკონომიკური საქმიანობა არ განუხორციელებია
7. საწარმოს სტრუქტურა - საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა და ამოცანების ფართო სპექტრის შესაბამისად საწარმოს გააჩნია შემდეგი ძირითადი ქვედანაყოფები:
8. შპს „ტექნო ბუმი“ აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს კრიტერიუმებს და საქმიანობის შეჩერება ან შეწყვეტა არ იგეგმება;

2. მნიშვნელოვანი მოვლენები:

1. საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს რეორგანიზაცია არ მომხდარა. სხვა მნიშვნელოვანი ორგანიზაციული ცვლილებები ასევე არ განხორციელებულა;

3. ფინანსური ანგარიშგების პაკეტი

3.1. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარდგენილია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მოცულობით, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული ფორმით;

3.2. წარდგენილი ანგარიშგება მოიცავს:

- ანგარიშგებას ფინანსური მდგომარეობის შესახებ (ბუღალტრულ ბალანსს);
- ანგარიშგებას საქმიანობის შედეგების შესახებ;
- ანგარიშგებას ფულადი ნაკადების შესახებ;
- ანგარიშგებას საწარმოს კაპიტალში ცვლილებების შესახებ;
- მმართველობის ანგარიშგებას;
- წინმდებარე განმარტებით შენიშვნებს;

- 3.3. ფინანსური ანგარიშგება ეხება ერთ საწარმოს – შპს-ს „ტექნო ზუმი“;
- 3.4. საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღია 2017 წლის 31 დეკემბერი და მოიცავს 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე პერიოდს;
- 3.5. წარსადგენი ვალუტაა ეროვნული ვალუტა – ლარი;
- 3.6. ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები დამრგვალებულია 1 ლარამდე;

4. ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ

- 4.1. საწარმომ საანგარიშგებო პერიოდში, მსს ფასს-ის მე-8 განყოფილების შესაბამისად შეიმუშავა სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება სტანდარტის შეფასებებსა და დაშვებებს, საწარმოს სპეციფიკის გათვალისწინებით;
- 4.2. ფინანსური ანგარიშგების შედგენის გაადვილების მიზნით საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით გათვალისწინებულია ბუღალტრულ აღრიცხვაში დამატებითი სინთეზური ანგარიშებისა და სუბ-ანგარიშების გახსნა;

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

1. საწარმოს მიერ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მსს ფასს-ის შესაბამისად ხდება პირველად. წინა პერიოდებში ფინანსური ანგარიშგება საერთოდ არ ყოფილა წარდგენილი;
2. საწარმოს საოპერაციო (მუშა) და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა – ლარი;
3. მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის – „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს)“ - შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2017 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის;
4. საწარმო წინა საანგარიშგებო პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.
5. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ, კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესადარისობის პრინციპიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეგვეტანა წინა საანგარიშგებო პერიოდის 2016 წლის ფინანსური ინფორმაცია, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ ძალაში შევიდა 2016 წლის ივნისში.
6. სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკიგან, რომელსაც საწარმო იყენებდა წინა საანგარიშგებო პერიოდებში.
7. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა და საწარმოს საქმიანობის სპეციფიკის

შპს „ტექნო ბუმი“ ს/კ 205286199

გათვალისწინებით, არსებითი გავლენა არ მოუხდენია ფინანსური ანგარიშგების ფინანსურ და არაფინანსურ მუხლებში შესატან ინფორმაციაზე და შესაბამისად მოგება-ზარალსა და კაპიტალზე.

6. განმარტებითი შენიშვნები ანგარიშგებაზე ფინანსური მდგომარეობის შესახებ

- 1 ანგარიშგება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ შედგენილია მსს ფასს-ის მე-2, მე-4 და მე-11 განყოფილებების შესაბამისად;
- 2 ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია რეალური ღირებულებებით:
 - 2.1. მოთხოვნები გაცემული სესხიდან და სასესხო ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში ასახულია რეალური ღირებულებით, გაცემული და მიღებული სესხის თანხით;
 - 2.2. სასესხო ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში ასახულია რეალური ღირებულებით, საკურსო სხვაობის შედეგების მოგება-ზარალში ასახვით
- 3 გაცემული სესხები:
 - ✓ საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის საწარმოს ნაშთად ერიცხებოდა გაცემული სესხები საერთო თანხით - 265797ლარი, სესხი გაცემულია 2012 წლის 21 სექტემბერს 143000 ლარი, რომელიც გენერალური ხელშეკრულების თანახმად იცვლება პერიოდულად, სესხი გაცემულია უზრუნველყოფის გარეშე.

4 მიღებული ბანკის კრედიტები;

ნომერი	დასახელება	სარგებლის %	საბოლოო ბალანსი (ლარში)
1	სს "ვითიბი ბანკი"	13	3850000
2	შპს "ნათელი 2012"	24	160716.4
3	ISBANK Gel სესხი	11	2282354.98
4	შპს რეალთი ჯორჯია	11	219000
5	შპს ბათუმვაჭრობა	11	1274548.48
6	შპს "ჯეოსელი" მიზნობრიბი	1	1 500 000.00

- 5 ფიზიკური პირების მიერ აკუმულირებული კრედიტები შეადგენს 19056099 ლარი.
- 6 საწარმოს არ გააჩნია მეკავშირე და შვილობილი საწარმოები და არც ერთობლივ საქმიანობაში აქვს განხორციელებული ინვესტიციები;
- 7 მარაგების აღრიცხვისათვის გამოყენებულია თვითღირებულების მოდელი.
- 8 თავდაპირველი აღიარების შემდგომ საწარმო იყენებს თვითღირებულების განსაზღვრის „საშუალო შეწონილ“ მეთოდს;
- 9 საკანცელარიო დანიშნულების მარაგები შესყიდვისთანავე აღიარდება ხარჯად;
- 10 სამეურნეო დამხმარე ტარა/მასალებს, ფაქტიური ხარჯის მიხედვით;
- 11 მოძველებული და ძნელად სარეალიზაციო მასალები ექვემდებარება ჩამოფასებას, ხოლო დაზიანებული და შემდგომი გამოყენებისათვის უვარგისი მარაგები ჩამოიწვრება. გაუფასურების თანხა მიეკუთვნება მიმდინარე პერიოდის ზარალს;
- 12 ძირითადი საშუალებების აღრიცხვა წარმოებს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების შესაბამისად. ძირითადი საშუალებების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი, ხოლო უსასყიდლოდ მიღებული აქტივები რეალური ღირებულებით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ძირითადი აქტივები ასახულია საბაზრო ღირებულებით, საანგარიშგებო პერიოდში ძირითადი აქტივების გაუფასურების ნიშნები არ გამოვლენილა;
- 13 საწარმოს რეორგანიზაცია საანგარიშგებო პერიოდში არ განხორციელებულა;

14 საწარმოს იჯარით აქვს აღებული არასაცხოვრებელი ფართები:

ნომერი	დასახელება	კოდი	ს მოქმედების ვადა
1	შპს "იბერია სერვისი"	245423395	2018 წელი
2	შპს "ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინა"	202462101	2020 წელი
3	შპს "ჯეოსელი" ქვეიჯარა	203841940	2018 წელი
4	სს "თბილაბრეშუმი ცისარტყელა"	200003174	2019 წელი
5	შპს გიაგო	446952735	2021 წელი
6	შპს "ნერგი"	216410970	2019 წელი
7	შპს "ბსკ"	245558409	2018 წელი
8	შპს ქოინჯულარი	445426325	2019 წელი
9	ი/მ ივანე კველიშვილი	20001005268	2020 წელი
10	სს საქართველოს ბანკი	204378869	2019 წელი
11	შპს "დავიდე"	406112601	2018 წელი
12	შპს ჯიბე	206335223	2018 წელი
13	ფ/პ თენგიზ კახნიაშვილი	31001003251	2018 წელი
14	ფ/პ არჩილ კახნიაშვილი	1024011349	2018 წელი
15	ფ/პ ცეცილია კერვალიშვილი	1026012220	2018 წელი
16	ფ/პ ცეზარ კახნიაშვილი	31001045491	2018 წელი
17	ფ/პ ერეკლე მეტრეველი	20001065147	2020 წელი
18	ფ/პ გოჩა კველიშვილი	20001009369	2020 წელი

საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს ფინანსური იჯარისა და უკუიჯარის გარიგებები არ ჰქონია.

7. საწარმოს საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

1. ანგარიშგება საწარმოს საქმიანობის შედეგების შესახებ წარმოდგენილია მსს ფასისა და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული ფორმა №2-ის სახით;
2. საოპერაციო შემოსავლები და რეალიზებული საქონლის/მომსახურების თვითღირებულება წარმოდგენილია აგრეგირებული სახით, ხოლო ადმინისტრაციული და საერთო ხარჯები მუხლობრივად ეკონომიკური შინაარსის მიხედვით;
3. არასაოპერაციო შემოსავლები, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან, მოცემულია განცალკევებულად;
4. საწარმო მოგების გადასახდით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“. დასაბეგრ ბაზას წარმოადგენს არა მოგების გადასახადი, არამედ გაცემული დივიდენდები და მასთან გათანაბრებული განაცემები, აგრეთვე გადახდები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო კოდექსით არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას;
5. საგადასახადო მიზნისათვის მოგების გადასახადსა და სააღრიცხვო მოგებიდან მოგების გადასახადის ტარიფით გამოთვლილი მოგების გადასახადის სხვაობა მსს ფასის მიხედვით, ერთის მხრივ, უნდა აისახოს საგადასახადო აქტივის, ან გადავადებული გადასახადის სახით, მაგრამ, მეორეს მხრივ, ასეთი სხვაობა გამოწვეულია არა შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის დროებითი სხვაობებით,

არამედ, დაბეგურის ბაზის ფორმირების არსებითი სხვადასხვაობით. ამასთან, აღნიშნული გაურკვეველობა რაიმე ნორმატიული აქტით არ რეგულირდება.

8. ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ

1. ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ (ფულადი ნაკადების ანგარიშგება) წარმოდგენილია მსს ფასს-ისა და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული ფორმა №3-ის სახით;
2. ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ წარმოდგენილია პირდაპირი მეთოდით, რომელიც ასახავს ინფორმაციას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში მომხდარ ცვლილებებს, რომელიც ამონაგებისა და ხარჯების სახით მოიცავს ფულად შემოსულობებსა და გასაგლებს:
 - საოპერაციო საქმიანობიდან;
 - საინვესტიციო საქმიანობიდან;
 - საფინანსო საქმიანობიდან;
3. მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით ფულად ნაკადებში საოპერაციო საქმიანობიდან შეტანილია: მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები, საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები, დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები, მოგების გადასახადთან დაკავშირებული ფულადი სახსრები, სხვა საოპერაციო ხარჯები;
4. ფულად ნაკადებში საინვესტიციო საქმიანობიდან შეტანილია: ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები, ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები და კაპიტალიზებადი ხარჯებისათვის გადახდილი თანხები.
5. საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს დივიდენდები არ მიუღია, სხვა საწარმოების წილობრივი ან სავალო ინსტრუმენტებისა და ერთობლივი საქმიანობის წილის შესაძენად ფულადი სახსრები გადახდილი არ არის, სხვა საწარმოების წილობრივი ან სავალო ინსტრუმენტებისა და ერთობლივი საქმიანობის წილის გაყიდვიდან ფულადი სახსრები მიღებული არ არის;
6. ფულად ნაკადებში საფინანსო საქმიანობიდან შეტანილია: მიღებული სესხებისა და კრედიტების დაფარვასთან დაკავშირებული გასაგალი, გადახდილი პროცენტები, ფინანსურ ოპერაციებთან დაკავშირებული მომსახურების ანაზღაურება. სესხებთან დაკავშირებული ინფორმაცია გამჟღავნებულია ფინანსური მდგომარეობის განმარტებით შენიშვნებში.
7. სავალო ფასიანი ქაღალდები, თამასუქები, ობლიგაციები საანგარიშგებო პერიოდში გამოშვებული არ ყოფილა.
8. მსს ფასს-ის თანახმად სავალუტო კურსების ცვლილების შედეგად წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობა ან ზარალი არ მიიჩნევა ფულად ნაკადად. თუმცა, საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში და დასასრულისთვის არსებული ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ასახულია საკურსო სხვაობის შედეგები;

9. ანგარიშგება საწარმოს კაპიტალში ცვლილებების შესახებ

1. ანგარიშგება საწარმოს კაპიტალში ცვლილებების შესახებ წარმოდგენილია მსს ფასს-ისა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული ფორმა №4-ის სახით;
2. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში წარმოდგენილია საანგარიშგებო პერიოდის ზარალი, სრული შემოსავალი, საანგარიშგებო პერიოდში აღიარებული სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებისა და შეცდომების გასწორების შედეგები.
3. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მესაკუთრის (პარტნიორის) მიერ საწარმოს კაპიტალში დამატებითი შენატანი არ განხორციელებულა.
4. საანგარიშგებოს წინა და საანგარიშგებო პერიოდებში ეროვნული ვალუტის გაცვლითი ოფიციალური კურსის ცვლილების შედეგად უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლების გადაფასება არ მომხდარა, რაც გასწორდა ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესში.
5. საწარმოს საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია – 103910 ლარით. საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში დაგროვილი ზარალი – **-14 996 603** ლარით განისაზღვრა. ამასთან, 2017 წლის **(-1 349 389** ლარი) ზარალის გათვალისწინებით, პერიოდის ბოლოს 31.12.2017 მდგომარეობით დაგროვილი ზარალი **-16 345 992** ლარს შეადგენს. საზოგადოებას ასევე ერიცხება რეზერვები **0** ლარის ოდენობით.

შ.პ.ს „ელკო აუდიტი“ დირექტორი

სერტიფიცირებული აუდიორი

(სერტიფიკატი №6/232; სარეგისტრაციო N SARAS-F-501962)

/მუხრან ქამადაძე/

შპს „ტექნო ბუმი“ ს/კ 205286199

9. ანგარიშგება საწარმოს კაპიტალში ცვლილებების შესახებ

1. ანგარიშგება საწარმოს კაპიტალში ცვლილებების შესახებ წარმოდგენილია შპს ფასის-ისა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული ფორმა №4-ის სახით;
2. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში წარმოდგენილია საანგარიშგებო პერიოდის ზარალი, სრული შემოსავალი, საანგარიშგებო პერიოდში აღიარებული სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებისა და შეცდომების გასწორების შედეგები.
3. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მესაკუთრის (პარტნიორის) მიერ საწარმოს კაპიტალში დამატებითი შენატარი არ განხორციელებულა.
4. საანგარიშგებოს წინა და საანგარიშგებო პერიოდებში ეროვნული ვალუტის გაცვლითი ოფიციალური კურსის ცვლილების შედეგად უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლების გადაფასება არ მომხდარა, რაც გასწორდა ფინანსურ ანგარიშგების შედგენის პროცესში.
5. საწარმოს საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია – 103910 ლარით. საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში დაგროვილი ზარალი – 14 996 603 ლარით განისაზღვრა. ამასთან, 2017 წლის (-1 349 389 ლარი) ზარალის გათვალისწინებით, პერიოდის ბოლოს 31.12.2017 მდგომარეობით დაგროვილი ზარალი -16 345 992 ლარს შეადგენს. საზოგადოებას ასევე, ურთცხება რეზერვები 0 ლარის ოდენობით.

შპს „ელკო აუდიტი“ დირექტორი

სერტიფიცირებული აუდიორი

(სერტიფიკატი №N6/232; სარეგისტრაციო N SARAS-P-501962)



მუხრან ქაშადაძე